MN GROUP 2021

ქ. თბილისი

14.07.2022წ.

სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდი“-ს

ს/კ: 404498110

დირექტორს, ბ-ნ ნუგზარ ხაინდრავას,

შპს „მნ გრუპი-2021“-ის (ს/კ:405473839)

დირექტორის, ბ-ნ გურამ თალაკვაძის

# წერილი

თქვენი 2022 წლის 8 ივლისის წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 13 სექტემბერს, შპს „მნ გრუპი-2021“-ის (შემდგომში „კომპანია“) მიერ შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-სგან მოხდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1000295 ლიცენზიის (გორის მუნიციპალიტეტში სილიკომანგანუმის (წიდა) ტექნოლოგიური ნარჩენის მოპოვების ნაწილში) შესყიდვა. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებით, საკუთრების უფლება კომპანიაზე გადავა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება სასამართლო დავა N13/619 ბრძანებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1000295 ლიცენზიის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღდგება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (N13/619 ბრძანებისა და N1000295 ლიცენზიის) მოქმედება.

მიმდინარე თარიღისთვის, საქმე №3/ბ-365-20 ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია, რომლის ფარგლებშიც მხარეები აპირებენ მორიგებას, კერძოდ სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილი აქვთ ხელმოწერილი მორიგების აქტი. აღნიშნული აქტის დამტკიცებისა და სასამართლო დავის დასრულების შემდგომ, ლიზენციაზე საკუთრების უფლება სრულად გადავა კომპანიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ჯერჯერობით მოკლებულია შესაძლებლობას მოგცეთ წერილობითი თანხმობა თქვენი წერილით გათვალისწინებულ კვლევაზე. თუმცა, კომპანია აცხადებს მზაობას გასცეს შესაბამისი თანხმობა, მის საკუთრებაში ლიცენზიის გადმოსვლისთანავე.

პატივისცემით,

შპს „მნ გრუპი-2021“-ის

დირექტორი

გურამ თალაკვაძე